ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

5 (9945) • 13 Tebervali • 2012 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ბრიფინგი გუბერნატორთან

გაზეთი „ალიონი“

გასულ პარასკევს გურიის გუბერნატორმა ვალერი ჩიტაიშვილმა ოზურგეთელ ჟურნალისტებთან ბრიფინგი ჩაატარა. თემა გურიაში 2012 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები იყო. მან ამ პროექტებს უნიკალური უწოდა და აღნიშნა:

–ვიცი მედია და მოსახლეობაც დაინტერესებულია იმ პროექტებით, რაც გურიაში კეთდება, ამიტომ ეტაპობრივად გაგაცნობთ პროექტებს, როგორც კი მზად იქნება.

თავდაპირველად მან ჟურნალისტმა დაბა ურეკში ზღვისპირა ზოლის განაშენიანების პროექტი გააცნო. სადაც ქვაფენილის და განათების მოწყობაა გათვალისწინებული. ისაუბრა დაბის წყალმომარაგების პროექტზე.

შემდეგ გუბერნატორმა ოზურგეთის რკინიგზის სადგურის და ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი წარმოადგინა. გათვალისწინებულია ზვიად გამსახურდიას მოედნის და „ჭადრების ბაღის“ კეთილმოწყობის სამუშაოები.

შემდეგ მან კურორტ ბახმაროში კინოთეატრისა და კაფე-ბარის მშენებლობის პროექტზე ისაუბრა. ჟურნალისტებს წარუდგინა ბახმაროში ასაშენებელი საცხოვრებელი კოტეჯების სხვადასხვა პროექტი, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლოს მოსახლეობამ და იმავდროულად სავალდებულოც იქნება მათთვის. ბახმაროში აიგება ახალი ამბულატორია და აფთიაქი.

მან აღნიშნა, რომ საკმაოდ ძლიერი არქიტექტორები მუშაობენ ამ პროექტებზე. –ბახმაროს უნდა მიეცეს არქიტექტურული სახე. ეს პროექტები არ იქნება იმდენად ძვირი, რომ მისი განხორციელება ვერ შეძლოს მოსახლეობამ.

გუბერნატორმა ლანჩხუთის სტადიონის სარეაბილიტაციო პროექტზე ისაუბრა. ოზურგეთშიც გაკეთდება სტადიონი.

ამის გარდა გაგრძელდება ქუჩების ასფალტირების, გაზიფიკაციის, წყლის სისტემების, განათების, მრავალბინიანი სახლების გადახურვის და სხვა სამუშაოები. ამ თემებს ეტაპობრივად გაგაცნობთ.– თქვა მან.

ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქუჩა

გოჩა შანიძე ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებს დადებითად აფასებს

მარი კოძოევი

10 თებერვალს დამოკრატიული ჩართულობის ცენტრშიოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა პარლამენტში, გოჩა შანიძემ ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა. მან აღნიშნული კუთხით სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა და რეფორმები დადებითად შეაფასა.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია ქვეყანაში ახალი საავადმყოფოების მშენებლობები.

მან დადებითად შეაფასა ოზურგეთში ახალი საავადმყოფოს გახსნის ფაქტი. „ამიერიდან ოზურგეთელებს აღარ მოუწევთ სამკურნალოდ სხვა ქალაქში წასვლა, რადგან ჩვენ უკვე გვაქვს ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საავადმყოფო, მართალია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად ფასებიც გაიზარდა, მაგრამ ამ შემთხვევაში დაზღვევა გვშველის".-თქვა შანიძემ.

შეხვედრას ოზურგეთის სამედიცინო სფეროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, ადგილობრივი ხელისუფლების, ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეკრებილ საზოგადოებას ჯერ თავისი შეხედულებები გაუზიარა ჯანდაცვის სფეროს განვითარებასთან დაკავშირებით შემდეგ კი მათი მოსაზრებები, შენიშვნები და ინიციატივები მოისმინა. მაგალითად, სოფელ ჭანიეთის ექიმის, ირმა გორგოშიძისაგან. გორგოშიძემ თქვა, რომ კარგი იქნება თუ ხელისუფლება უზრუნველყოფს სოფლის ექიმების დაზღვევას. მეორე საკითხი, რომელზეც ჭანიეთის ექიმმა ისაუბრა გათბობა იყო. მისი თქმით, სოფლის ამბულატორიაში გათბობის ერთადერთი საშუალება შეშის ღუმელია. შეშის ყიდვა კი საკუთარი სახსრებით უწევთ, რაც დაბალ ანაზღაურებადი სოფლის ექიმისთვის „იოლი საქმე არ არის".

შეხვედრაზე ორი ინიციატივით გამოვიდა ოპოზიციონერი, კახა ღლონტი. მისი აზრით, კარგი იქნება თუ ოზურგეთში ფუნქციონირებას დაიწყებს მუნიციპალური საავადმყოფო. მისი მეორე წინადადება ვეტერანებს შეეხებოდა. კახა ღლონტი გამოვიდა ინიციატივით, რომ ოზურგეთში შეიქმნას ვეტერანების სარეაბილიტაციო ცენტრი.

ძლიერი თოვა გურიაში

განსაკუთრებულად უხვთოვლიანობა და ძლიერი ყინვებია ევროპის ბევრ ქვეყანაში. უკვე სამი კვირაა ცუდი ამინდებია საქართველოში. გურიაც ვერ გადაურჩა უამინდობას და ამ პერიოდში რამდენჯერმე მოვიდა უხვი ნალექი თოვლის სახით. მაგალითად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მთისპირში, ვაკიჯვარში თოვლის საფარმა 80 სანტიმეტრს გადააჭარბა, ხოლო ვანისქედში ერთ მეტრს. შპს „მე-18 საგზაო უბნის“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონდომებით, ძირითადად გაიწმინდა დასახლებულ პუნქტებამდე მისასვლელი გზები, თუმცა იყო ცალკეული დასახლებული პუნქტის მცხოვრებთა პრეტენზიები. დიდთოვლობას დღეების მანძილზე შუქის გამორთვა მოჰყვა რამდენიმე სოფელში. თოვლს გურიისათვის იშვიათი, ტემპერატურის მკვეთრი ვარდნა მოჰყვა და ყინვამ ღამით –8 გრადუსსაც გადააჭარბა, რითაც საშიშროება შეექმნა ციტრუსის ბაღებს.

სამწუხაროდ, ყინვას ქ. ოზურგეთში მცხოვრები ალექსანდრე მოროზოვი შეეწირა. იგი მძიმე მდგომარეობაში, იპოვეს საკუთარ ბინაში. მიუხედავად ექიმების მცდელობისა, მისი სიცოცხლის გადარჩენა ვერ შეძლეს. ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში მოყინვაზე მკურნალობას გადის დაბა ლაითურის მცხოვრები, რომლის სიცოხლესაც ამჟამად საფრთხე არ ემუქრება.

ეს უნგეხება

საქართველოს არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების პეტიცია

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები, ვაცნობიერებთ რა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების მნიშვნელობას, კატეგორიულად მიუღებლად მივიჩნევთ ამ საკითხთან დაკავშირებით 2011 წლის დეკემბერში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც:

* ზღუდავს სამოქალაქო აქტივობას, საკუთრების უფლებას, გამოხატვისა და პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლებას, აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას;
* მძიმე და გაუმართლებელ პასუხისმგებლობას აკისრებს ამომრჩეველს;
* განუსაზღვრელ და არაკონსტიტუციურ უფლებამოსილებებს ანიჭებს პარტიების დაფინანსების მთავარ მაკონტროლებელს - საქართველოს კონტროლის პალატას;
* სერიოზულ საფრთხეებს უქმნის როგორც თითოეულ მოქალაქეს, ისე სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, მედიას;
* აუარესებს საარჩევნო გარემოს ქვეყანაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას.

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“

ერთი წლით – 12 ლარი
ექვსი თვით – 6 ლარი
სამი თვით – 3 ლარი

7 დღის ამინდის პროგნოზი

13 თებერვალი, ორშაბათი	14 თებერვალი, სამშაბათი	15 თებერვალი, ოთხშაბათი	16 თებერვალი, ხუთშაბათი	17 თებერვალი, პარასკევი	18 თებერვალი, შაბათი	19 თებერვალი, კვირა
მზე +5+13	მზე +8+13	ღრუბლიანი, მზე +5+15	თოვლი +1+6	ღრუბლიანი, მზე +4+10	წვიმიანი თოვლი +2+9	თოვლი -1+4

შეხვედრა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიაში

ნუგზარ ასათიანი

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე, გასულ პარასკევს, ამ კომისიის ოფისში ჟურნალისტებს შეხვდა. მან ჟურნალისტებთან განაცხადა:

–პარტიათა შორის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც შარშან, 27 ივნისს გაფორმდა, განისაზღვრა მთელი რიგი მიმართულებები, რომლითაც პოზიტიური ცვლილებები უნდა განვახორციელოთ ზოგადად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის. ამომრჩეველთა სიები არის ერთ-ერთი მიმართულება. შეთანხმება, რომელიც გაფორმდა პარტიებს შორის, 12-პუნქტიანია და სხვადასხვა საკითხის წინ წაწევას მოიცავს. აქ იყო საუბარი, საარჩევნო სისტემაში ცვლილებებზე, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მონიტორინგზე, მედიათანაბრობაზე და ა.შ. ეს ყველაფერი აისახა საარჩევნო კოდექსში, გასული წლის მიწურულს. ამ შეთანხმებით საარჩევნო კოდექსში განისაზღვრა, რომ უნდა შექმნილიყო ამორჩეველთა სიების დაზუსტების კომისია და ეს უნდა გამხდარიყო ამორჩეველთა სიების დაზუსტების ერთადერთი უმაღლესი ინსტანცია.

პრეზიდენტის ბრძანებულებით 2012 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა აღნიშნული კომისია 21 წევრისაგან, ხელისუფლების, ოპოზიციის და არასამთავრობო სექტორის 7-7 წარმომადგენლებისაგან. ოპოზიციის წარდგინებით, მე ვხელმძღვანელობ ამ კომისიას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, თავად შევიდეთ პასუხისმგებლობაში.

კომისიას აქვს ოფისი დედაქალაქში და 11 წარმომადგენლობა საქართველოს ყველა რეგიონში. ამ კომისიების მეშვეობით ჩვენ უნდა მოვახდინოთ ამომრჩეველთა სიების დაზუსტება საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში და უბანში. ეს დაზუსტება სხვადასხვა მეთოდოლოგიით მოხდება, მაგრამ ძირითადი მეთოდი უნდა იყოს „კარდაკარ"-ის პრინციპით სიების გადამოწმება. ამისათვის 11 ათასზე მეტი ადამიანის მობილიზაცია უნდა მოვახდინოთ. მობილური ჯგუფების მომზადებისათვის, დატრენინგებისათვის, ტექნიკური აღჭურვისათვის შევქმენით რეგიონებში წარმომადგენლობა. გურიის წარმომადგენლობას დავით წულაძე უხელმძღვანელებს.

საქართველოს მასშტაბით ყველა წარმომადგენლობა მოექცევა ერთიან კომპიუტერულ ქსელში და ცენტრალურ ოფისში მყისიერად დაფიქსირებს, რა ცვლილება შეიძლება იყოს კარდაკარის დროს. შეიძლება აღმოჩენილი იყოს გარდაცვლილები, გაორებები, მიწერები. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ ადამიანებს, ვინც გასულია საქართველოს ფარგლებს გარეთ. მათ სიებიდან ვერ ამოვიღებთ, მაგრამ მათ სპეციალურ სიებში ჩავწერთ. არჩევნების დროს სამაგიდო სიაში სპეციალური გრაფაა განსაზღვრული, რომელსაც რეალურად ავამოქმედებთ.

ამ ეტაპზე მობილური ჯგუფების დაკომპლექტება უნდა მოხდეს. სახელმწიფო კომისია სპეციალური ლოგოთ და ატრიბუტიკით იქნება აღჭურვილი. ჩვენ გვინდა ამომრჩეველთა არასანდო სია მივიყვანოთ ისეთ ფორმაში, რომელიც შედეგის მხრითაც იქნება გაუმჯობესებული და მეორეს მხრივ, ნდობის თვალსაზრისით საზოგადოების მხრიდან იქნება უფრო პროგრესული.

ჩვენ ვთავაზობთ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც სკეპტიკურადაა განწყობილი, პარალელურ რეჟიმში განახორციელონ მონიტორინგი და მოგვაწოდონ თუკი რაიმე დარღვევას აღმოაჩენენ, ან ჩვენთან მიიღონ მონაწილეობა.

გურია ყველაზე პატარა რეგიონია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რაღაც დოზით აქ ყურადღება არ იქნება მოდუნებული.

ჩვენ სახელმწიფო სტრუქტურას წარმოვადგენთ. ამიტომაც განთავსდა გუბერნიის შენობაში. კომისიას სახელმწიფომ 5 მილიონი ლარი გამოუყო. აქედან 3 მილონი 11 რეგიონში დასაქმებულ ადამიანებს მიეცემა. კომისიის მუშაობა იქნება გამჭირვალე.

მესმის, რომ არის სკეპტიციზმი, ნიჰილიზმი,–ეს წლების განმავლობაშია დაგროვილი. ეს ამ ხელისუფლების, წინა ხელისუფლების ბრალი არის, თითოეული ჩვენგანის ბრალი არის. ამიტომ საჭიროა ამ პასუხისმგებლობაში შესვლა.

შეხვედრის ბოლოს მამუკა კაციტაძეს დაუსვეს შეკითხვა, რომ პოლიცია ახდენს ოჯახების აღწერას.

–ვიცი, რომ პოლიცია დადის და ეს ცუდია, როცა იგი, როგორც ამომრჩეველთა სიების მაკონტროლებელი ფიქსირდება. ვიცი რომ დადის ჯანდაცვის სტრუქტურები. მაგრამ, სხვა უწყებების მიერ განხორციელებული ჩამოვლები, ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს ამომრჩეველთა ერთიანი სიების დადგენაზე.

მე მესმის, პოლიცია დადის, აღწეროს, ვინ რანაირად და ეს შემდეგ საარჩევნოდ გამოიყენოს. როგორც არასდროს, ძალიან დიდია ინტერესი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ჩართული იქნებიან ამ პროცესში და ეს ერთგვარი გარანტიაა.

რომ გითხრათ, ხელისუფლება მამუკა კაციტაძის მიმართ განსაკუთრებული ნდობით აღიჭურვა, მოგატყუებთ. რა თქმა უნდა, სახელმწიფო თავის რესურსს გამოიყენებს

„თავისუფალი დემოკრატები" ნასაკირალელების პრობლემებზე საუბრობენ

მარი კოკოევი

,,თავისუფალი დემოკრატების"გურიის ორგანიზაციის ლიდერმა თემურ სალუქვაძემ პრესკონფერენცია რამაზ ნიკოლაიშვილის მიმართვით დაიწყო:

,,–ჩვენ, ვფლობთ აბსოლუტურად ყველა ინფორმაციას თქვენი დღისა და ღამის ვიზიტებისა და შეხვედრების შესახებ, არ დაგიმალავთ, თქვენი უახლოესი გარემოცვიდანაც კი.

ეს ყველაფერი ყოველგვარ ზღვარს სცდება. გასაგებია, რომ ხელისუფლებაში დარჩენის სურვილი მაღალია, მაგრამ მოგიწოდებთ ჩაფიქრდეთ თქვენს მომავალ გადასადგმელ ნაბიჯებზე.

ჩვენ, როგორც რეალური ალტერნატიული ძალა, გაიძულებთ არჩევნებამდე ბევრი რამ გააკეთოთ ჩვენი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ოღონდ ეს იქნება ჩვენი დამსახურება და არა თქვენი კეთილი ნება. ეს თქვენ ჩვენზე უკეთ იცით.

იწურება უსამართლობის, არაპროფესიონალიზმის, უზნეობის, შიშის, დიქტატურის ხანა საქართველოში. დროა სიმართლეს თვალი გაუსწოროთ, ახალი რეალობა სწორად შეაფასოთ და შესაბამისი დასკვნები გამოიტანოთ".

პრესკონფერენციას დაბა ნასაკირალის მცხოვრებლები ესწრებოდნენ. სწორედ ნასაკირალის პრობლემებზე საუბრით გაგრძელდა შეხვედრა.

როგორც დაბის მცხოვრებლებმა თქვეს, ნასაკირალს და ნასაკირალელებს პრობლემები თავზე საყრელად აქვთ, მათ მოუგვარებლობაში აქაურები ხელისუფლებას ადანაშაულებენ.

–,,დაბის ცენტრალური გზა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, მოუწესრიგებელია წყალმომარაგებაც, უმუშევრობაზე და მიგრაციაზე არაფერს ვამბობთ. ერთი დიდი პრობლემა ისაა, რომ დაბას არ აქვს ამბულატორია",–თქვეს ნასაკირალელებმა.

შეხვედრაზე ,,თავისუფალი დემოკრატების"საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა ფირუზ ირემაძემ განაცხადა:

–,,არავინ გვაქცევს ყურადღებას. თოვლისაგან ცენტრალური გზაც კი არ გაგვიწმინდეს. მცირე თოვლზეც კი შუქი ითიშება. თუ ვინმე არ დაგვეხმარა, მარტო ჩვენ უძლურები ვართ.

დაბას ბევრი პრობლემა აქვს. წელს ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ციტრუსის რეალიზაცია ვერ მოვახერხეთ.

პრობლემურია სკოლის საკითხიც. 450 მოსწავლეს სკოლის შენობა ვერ იტევს. ხელისუფლებისაგან მხოლოდ დაპირებებია და მეტი არაფერი..."

"თავისუფალი დემოკრატები"გურიის ყველა სოფელში მისვლას და პრობლემების შესწავლას ადგილზე აპირებენ–ამის შესახებ პრესკონფერენციაზე თემურ სალუქვაძემ განაცხადა.

„ახალი მემარჯვენეების" პრიორიტეტი სოფლის გადარჩენა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობაა

მარი კოკოევი

„ახალი მემარჯვენეების" რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის და პოლიტიკური კურატორის ვინაობა გასულ კვირას გახდა ცნობილი.

ნათია კრავეიშვილი და ლევან კალანდაძე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, მანანა ნაჭყებიამ საზოგადოებას ოფიციალურად 7 თებერვალს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში წარუდგინა.

ნაჭყებიას განცხადებით, „ახალი მემერჯვენეების" ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ქართული სოფლის განვითარებაა, „ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რეგიონული და რაიონული სტრუქტურების აქტიურობა და მობილურობა, მათი დაინტერესება სოფლებში არსებული პრობლემებით, პარტიის ლიდერების უშუალო ყოველდღიური კონტაქტი სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან".

სწორედ ამ მიზნით შექმნა პარტიამ გურიაში რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც რაიონულ ორგანიზაციებს გაუწევს კოორდინაციას. რეგიონულ ორგანიზაციას ნათია კრავეიშვილი უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება პოლიტიკურ კურატორს, იგი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან კალანდაძე იქნება. კალანდაძე წარმოშობით გურიიდან, კონკრეტულად კი ჩოხატაურიდანაა, იგი აქამდე პარტიაში ეკონომიკურ მიმართულებას ხელმძღვანელობდა. კურატორი აქცენტს რეგიონის და მისი მოსახლეობის პრობლემებზე, ასევე პარტიის ინიციატივების და მისი პროგრამის მოსახლეობისთვის გაცნობაზე აიღებს.

ოფიციალური წარდგენის შემდეგ ნათია კრავეიშვილმა და ლევან კალანდაძემ შეკრებილ საზოგადოებას მიმართეს, მოკლედ ისაუბრეს მომავალ გეგმებზე და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს აქტიურ თანამშრომლობას დაპირდნენ.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ შეხვედრამდე მანანა ნაჭყებია, ლევან კალანდაძე, ნათია კრავეიშვილი და პარტიის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ავთო სურგულაძე სოფელ კონჭკათს ესტუმრნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

მოსახლეობასთან შესახვედრად მიმავალი მანანა ნაჭყებია კონჭკათის გზებმა გააკვირვა. სწორედ ამორტიზებული გზის პრობლემა იყო ერთ-ერთი საკითხი რაზეც „მემარჯვენეებს"ადგილობრივმა მოსახლეობამ ესაუბრა. „ცუდი გზა ჩვენი სოფლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. რომელიმე ჩვენგანი ცუდად რომ გახდეს სასწრაფო ვერ ამოაღწევს აქამდე".- ამბობდნენ კონჭკათელები.

ყველაზე დიდი დრო სტუმრებმა და მასპინძლებმა სოფლის მეურნეობაზე საუბარს დაუთმეს. ადგილობრივები ხელისუფლებას სოფლის მეურნობის კუთხით განხორციელებულ პოლიტიკას უწუნებენ. მათი თქმით სიმინდის საყანე ფართობების დამუშავება-დათესვა ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც გლეხს მძიმე მდგომარეობაში აგდებს. უკმაყოფილებას გამოთქამენ ასევე სასუქის სიძვირის გამოც. ხელისუფლების ინიციატივით დარიგებულ 30 ლარიან ვაუჩერს სასაცილოს უწოდებენ. „30 ლარიანი ვაუჩერი გეყოფათ ყანების დასამუშავებლადო, ეს შეურაცხყოფაა და მეტი არაფერი" - თქვა სოფლის მცხოვრებმა, თენგიზ კვირჩილაძემ. უარყოფითი შეხედულება აქვს კონჭკათელ, ზურაბ მოქიას ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის შემოტანასთან დაკავშირებით. ის და მისი თანასოფელელები უპირატესობას „ჩვენებურ" სიმინდს ანიჭებენ.

მემარჯვენეებთან შეხვედრისას ადგილობრივები ამერიკული თეთრი ჰიბელას თესლსაც შეეხნენ. მათი თქმით ხელისუფლება არაფერს აკეთებს მავნებელი მწერების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მანან ნაჭყებია აქაურებს დაპირდა, რომ ამ საკითხს აუცილებლად გახმოვანებს და მიიტანს ცენტრალურ ხელისუფლებამდე. „ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ თქვენი პრობლემები გავახმოვანოთ და ამას აუცილებლად გავაკეთებთ, რადგან ჩვენი პრიორიტეტი სოფლის გადარჩენა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობაა" უთხრა ადგილობრივებს ნაჭყებიამ.

შეხვედრისას მომავალ არჩევნებზეც იყო საუბარი. სტუმრების მოსაზრებას, რომ მომავალი პარლამენტი აუცილებლად მრავალპარტიული უნდა იყოს და დიდი უმრავლესობით არავინ უნდა მოვიდეს საკანონმდებლო ორგანოში, მასპინძლების აზრიც დაემთხვა. „პარლამენტი მრავალპარტიული უნდა იყოს . მხოლოდ ერთი ძალა არ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს. ბევრი აზრი უნდა არსებობდეს, რომ ჯანსაღი მსჯელობის შემდეგ მათგან საუკეთესოს შერჩევა მოხდეს"ამბობდნენ კონჭკათელები.

გურიის ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე

გაიმართა გურიის ოლიმპიური კომიტეტის სხდომა, რომელსაც გარდა კომიტეტის წევრებისა და სპორტის მესვეურებისა მხარის და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ.

გურიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა ლომაძემ და გენერალურმა მდივანმა რევაზ ლომაძემ იასუბრეს 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადასა და 2015 წელს ქ. თბილისში გასამართი მსოფლიოს ოლიმპიური თამაშების მოსამზადებელ სამუშაოებზე, მხარის სპორტსმენების მონაწილეობაზე ამ უდიდეს სპორტულ ფორუმებზე.

თუ როგორ დაეხმარება რეგიონის და ადგილობრივი ხელისუფლება სპორტსმენებს, ამ თემაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს გურიის გუბერნატორის პირველმა მოადგილე თამაზ მახარაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა, გამგებელმა ილია ვაშაყმაძემ.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები გურანდა გურასაშვილი და სალომე

ციფრული მაუწყებლობა–ნახტომი მომავალში

ნუგზარ ასათიანი

გაზეთი „ალიონი“ შარშან წერდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერსპექტივებზე და პრობლემებზე. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა გადავიდა ციფრულ მაუწყებლობაზე. ეს პროცესი უკვე დასრულდა ევროპის წამყვან ქვეყნებში, მათ შორის უკრაინაში. საქართველოს აღებული აქვს საერთაშორისო ვალდებულება, 2015 წლის 17 ივნისიდან გადავიდეს ციფრულ მაუწყებლობაზე. თუ როგორ უნდა მოხდეს ეს, რა პრობლემები ახლავს ამ საინტერესო სიახლეს, ამ თემაზე გაზეთმა „ალიონმა“ გარკვეული კვლევები ჩაატარა.

დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია „გურია“-ს პრობლემები

ავთანდილ გველებიანი,

დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია „გურია“-ს დირექტორი:

–ტელეკომპანია „გურია“უკვე 20 წელია საკუთარი სრული პროგრამით მაუწყებლობს. დღეისათვის იგი მაუწყებლობს ყოველდღე დაახლოებით 16-18 საათი. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 10 წლით გაგვიგრძელა ლიცენზია. ჩვენ ვმაუწყებლობთ გურიის რეგიონში, მაგრამ ჩვენი სიგნალი ვრცელდება ქობულეთში, სამეგრელოში, გალის რაიონშიც კი.

დღეისათვის აქ საინფორმაციო პროგრამებს ვამზადებთ. კვირაში ერთხელ გვაქვს თოქშოუ, ვამზადებთ ახალგაზრდულ პროგრამას „**sms**-მანია.“მარტის თვიდან ვაპირებთ სამაუწყებლო ბადის განახლებას–ახალ პროგრამებს დავიწყებთ, რომლის პრეზენტაციაც თებერვლის ბოლოს მოხდება.

ტელევიზიებისათვის დიდი გამოწვევაა, თუ როგორ შეძლებენ ისინი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას, რადგან საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულების შესაბამისად 2015 წლის 17 ივნისისათვის მოხდება დეციმეტრული (ანალოგური) მაუწყებლობის სიგნალის გათიშვა. ამ სიტუაციას ორი მხარე ჰყავს: ერთი არის მაყურებელი, მეორე არის ამ სიგნალის მიმწოდებელი. იმ ტელევიზორებით, ის ანტენებით, რომლითაც მომხმარებელი იღებს სიგნალს, ვეღარ მიიღებენ. ეს არ ეხება იმათ, ვინც თანამგზავრიდან, ან ტელეკომპანია „მადიდან“ციფრული მაუწყებლობით ღებულობს სიგნალს. ამ შემთხვევაში მაყურებლისთვის ორი გზაა: ან უნდა იყიდონ სპეციალური მოწყობილობა, ან უნდა შეიძინონ თანამედროვე ტელევიზორები, რომლებიც დღეისათვის ნაკლებადაა შემოსული ქსელში. როდესაც ისინი ახალ ტელევიზორებს ყიდულობენ, უნდა იკითხონ ამ ტელევიზორს აქვს თუ არა **dvd-t** სიგნალის მიღების უნარი, რადგან ასეთი სიგნალით გავრცელდება საქართველოში სიგნალი. არ არის გამორიცხული, სახელმწიფო დაეხმაროს სოციალურად შეჭირვებულებს ამ პრობლემების დაძლევაში, რადგან ამ გადამყვანებს გარკვეული ღირებულება აქვთ.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რამდენიმე პრობლემას აწყდება ტელეკომპანია. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მოხდა ქვეყნის 10 სამაუწყებლო არედ დაყოფა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ გურია ორადაა გახლეჩილი ამ სამაუწყებლო რუკაზე.

გურია გაყოფილია 252 და 253 ზონებს შორის. ჩვენ სავარაუდოდ 252 ზონაში მოვხვდებით, რადგან სამაუწყებლო ბაზა არის ოზურგეთი. ამ ზონაში შედიან: ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ხელვაჩაური, ქედა. თუ 253 ზონაში მოვხვდებით, აქ არის ჩოხატაური, იმერეთის ზონა, სამეგრელოს ნაწილი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი. რა სირთულეებს ვაწყდებით აქ? უხერხული მომენტი ის არის, რომ არც ერთ შემთხვევაში ჩვენ არ გვექნება საშუალება სრულად დავფაროთ გურია, თუ ჩვენ არ ავიღებთ ორთავე სიხშირეს. არის კიდევ ერთი მომენტი: კანონი ავალდებულებს მაუწყებელს, რომელ ზონაშიც იმაუწყებლებს, იმ ზონის 90 პროცენტი დაფაროს. თუ ჩვენ ვიქნებით 253 ზონაში, ჩვენ არა მარტო გურია უნდა დავფაროთ, არამედ ქუთაისი, მესტია, ლენტეხი, აბროლაური და ა.შ. ანუ ეს ჩვენი ვალდებულება იქნება დამატებითი ხარჯი, რომ საკუთარი ქსელი შევქმნათ. თუმცა, ჯერ-ჯერობით სახელმწიფო არ არის ჩამოყალიბებული, რა სისტემით მოხდება ტერიტორიების დაფარვა. ამჟამად ჯუმათის ქედზე გვიდგას ანძა და ამ ანძის საშუალებით ხდება ტერიტორიების დაფარვა.

ტვ. „გურიას“ ანძა სოფ. ჯუმათში

–რაში ხედავთ გამოსავალს?

შეიძლება შეიქმას რაღაც კომპანია, რომელსაც მივაწოდებთ სიგნალს. ეს კომპანია უზრუნველყოფს ამ სიგნალის გავრცელებას. ჩვენ კი მათ მომსახურების თანხას გადავუხდით.

მეორე ვარიანტი: –ჩვენ თავად მოგვეცემა საშუალება, თავად გავავრცელოთ სიგნალი;

მესამე ვარიანტი:–შეიქმნება რამდენიმე კომპანია, მოხდება რაღაც გაერთიანებები და ეს კომპანიები ერთად გავრცელებენ სიგნალს.

ციფრული მაუწყებლობა იმის საშუალებას იძლევა, ერთ არხზე ოთხი არხი ჩაირთოს. რეგიონული ტელევიზიების ასოციაცია ვაპირებთ, ერთიანი რაღაც სისტემა შევქმნათ. ერთმანეთს დავეხმაროთ, ერთმანეთის სიგნალი გავავრცელოთ. ასე, კოოპერირებულად მოვახდინოთ ჩვენს ჩვენს ზონებში ჩვენი ვალდებულებების შესრულება.

ჩვენ ასევე ვაპირებთ თანამშრომლობას საზოგადოებრივ მაუწყებელთან. საზოგადოებრივ მაუწყებელს ერთ-ერთ არხზე ჩავერთვებით, მივებმებით მას.

რეგიონული ტელევიზიების ასოციაციას, ერთის მხრივ გვაქვს ჩვენი ხედვა ჩამოყალიბებული, თუ როგორ დავძლიოთ ფინანსური სიძნელეები და დაფაროს სამაუწყებლო ზონა. ამასთანავე ველოდებით რა გადაწყვეტილებას მიიღებს სახელმწიფო: რანაირად მოახდენს ამის დისტრიბუციას, რა პრინციპით გავრცელდება სიგნალი და ვის რა უფლება-მოვალეობები ექნება. დღეს ვერც კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია მოგცემს ამ თემაზე სრულყოფილ პასუხს. ციფრულ მაუწყებლობზე გადასვლის პოლიტიკის შემმუშავებელი არის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. აქ სპეციალური ჯგუფი ევროკავშირის წარმომადგენლებთან ერთად რაღაც მოდელზე მუშაობს. ამ პროცესებში რეგიონული ტელევიზიების ასოციაცია და თავად ტელევიზიები არიან ჩართულნი.

ციფრულ ტელევიზიაზე გადასვლის შემდეგ მაყურებელი სიგნალს უკეთ მიიღებს.

ტელეკომპანიების იმედი ძირითადად სახელმწიფოა, მაგრამ დონორებთანაც ვმუშაობთ. აირექსიც ამ თემაზე მუშაობს. წელს აირექსის საშუალებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება ჯგუფი, რომელიც იქაურ გამოცდილებას გაეცნობა...

რა სიახლეებს გვთავაზობს მალაზია „ვესტელი,“ ამ თემაზე მის მენეჯერს ნანა გოგოლიშვილს ვესაუბრეთ:

–შპს „ელ-კოს“ მაღაზია „ვესტელი“7 წელია რეგიონის მოსახლეობას ელექტროტექნიკას აწვდის, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ტელევიზორებს უკავია.

როგორც ჩანს, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მოსახლეობა ნაკლებადაა ინფორმირებული, რადგან მოთხოვნა კინესკოპურ ტელევიზორებზე არის და მისი ხვედრითი წილი წლის განმავლობაში გაყიდულ ტელევიზორებს შორის დაახლოებით 50 პროცენტს შეადგენს. ასეთი ტელევიზორების მფლობელები კი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ გადაცემებს ვერ მიიღებენ სპეციალური გადამყვანის გარეშე. თუმცა მოთხოვნა ნახევრადკრისტალურ და პლაზმურ ტელევიზორებზე იზრდება. რადგან მოსახლეობის ძირითად ნაწილს დაბალი მსყიდველობითი უნარი აქვს, ნაკლებ სავარაუდოა, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთანავე მაღალი ხარისხის ტელევიზორები შეიძინონ. მათ ალბათ გადამყვანების შეძენა მოუწევთ.

ამჟამად კინესკოპური ტელევიზორები თითქმის აღარ შემოდის. საახალწლოდ უფრო თხევადკრისტალურ და პლაზმურ ტელევიზორებზე იყო მოთხოვნა.

ჩვენ, ბუნებრივია, მოთხოვნილების გაჩენისთანავე მოსახლეობას მივაწვდით სპეციალურ გადამყვანებს, რომლის სავარაუდო ფასი 50 ლარიდან იწყება.

„რისოულის“ ანძა მთისპირში

სოფ. მთისპირი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ყველაზე მაღალმთიანი სოფელია. მიუხედავად გასული საუკუნის 80-90-იანი წლებში დაწყებული მიგრაციის პროცესისა, სოფელში ამჟამად 280 კომლი ცხოვრობს. ბოლო პერიოდში, რაც ბენტონიტური თიხების ახალი კარიერი ამოქმედდა და მდინარე ბახვისწყალზე ჰესის მშენებლობა დაიწყო, გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები.

მთისპირის ცალკეული უბნები, თავისი რელიეფის გამო, ცუდად იღებდა სატელევიზიო გადაცემებს. მთისპირლები თავდაპირველად „ონისიმეს გორაზე“ დადგმული 8-მეტრიანი ანძის საშუალებით იღებდნენ გაძლიერებულ სიგნალს. თუმცა ეს არ იყო საკმარისი. 15 წლის წინ მთისპირელმა ენთუზიასტებმა, დონორი ორგანიზაციის საშუალებით „რისოულის“გორაზე 18-მეტრიანი ანძა დადგეს, რომელზეც სამაუწყებლო პროგრამების სიგნალების მიმღები თვითნაკეთი მოწყობილება დაამონტაჟეს და გაუმჯობესდა სატელევიზიო სიგნალის მიღების ხარისხი. თუმცა მან მხოლოდ რამდენიმე წელს იმუშავა.

ამჟამად სოფელში მხოლოდ სამ ოჯახს გააჩნია კარგი ხარისხის პლაზმური ტელევიზორი, შედარებით კარგი ტელევიზორი 150-მდე ოჯახს აქვს, ხოლო დანარჩენს–საბჭოური ფერადი ან შავ-თეთრი ტელევიზორები. სოფელში მოსახლეობის 8 პროცენტს უდგას სატელიტური თეფში.

„რისოულის“ ანძის „პროექტის“ ავტორის, პედაგოგ ოთარ გაგუას აზრით, ეს პროცესი სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისთვის იქნება მტკივნეული, რომლებსაც ძირითადად საბჭოური კინესკოპური ტელევიზორები უდგათ, არ აქვთ საშუალება მიმღებდეკოდერები შეიძინონ. აქ კიდევ ერთი საჭოჭმანო საკითხიც დგას: მოგეხსენებათ, როგორი მკაცრია მოთხოვნა იმ მოქალაქეებზე, რომლებიც სოციალურ დახმარებას იღებენ. თუ ისინი თუნდაც განვადებით კარგ ტელევიზორებს შეიძენენ, სოც. აგენტები ამას დაფიქსირებენ, ქულები მკვეთრად მოემატებათ და შესაძლოა ასეთ ოჯახებს სოც. დახმარება მოუხსნან. ამ კატეგორიასთან სიტყვა სახელმწიფოს ეკუთვნის.

ოთარ გაგუას აზრით, მთავარია მოსახლეობის დროული ინფორმირებულობა, რადგან მათ დაიწყონ სამზადისი, რადგან მთის სოფელში ტელევიზიაა ძირითადი ინფორმაციის წყარო.

გაზეთი „ალიონი“ ამ თემაზე სტატიების გამოქვეყნებას გაგრძელებს.

სოფ. მთისპირი

როგორ გადავიდნენ ციფრულ მაუწყებლობაზე უკრაინაში.

სანამ რეგიონული მაუწყებლები, აშშ გამოცდილებას გაეცნობიან, გაზეთი „ალიონი“ უკრაინულ გამოცდილებას შემოგთავაზებთ:

ამ თემაზე გვესაუბრა **დამოუკიდებელი კონსულტანტი ციფრულ მაუწყებლობაში უკრაინიდან ივან პოლტარეცი,** (ინტერვიუ ჩაწერილია „ინტერნიუსში“):

–უკრაინაში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი 2010 წელს დაიწყო. იყო გარკვეული კონფლიქტი ცალკეულ ტელეკომპანიებს შორის, რომლებსაც უნდოდათ ახალი მაუწყებლობის პაკეტში მომხდარიყვნენ და ვერ მოხვდნენ. ამჟამად უკრაინაში 32 არხი მაუწყებლობს, საიდანაც 28 ნაციონალურია და მხოლოდ 4 რეგიონული. განსაკუთრებით ეს ადგილობრივ მაუწყებლებს შეეხოთ. მათი პრობლემა ის არის, რომ არ აქვთ ფული, გადაიხადონ იგი პაკეტში მოსახვედრად. ზოგს ჰქონდა ფული. მაგრამ უკრაინისათვის გამოყოფილ პაკეტში ადგილი არ ეყოთ. ამ ტელეკომპანიებმა სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიტანეს. ჯერ-ჯერობით გადაცემების ძველი სისტემა გათიშული არ არის, ტელეკომპანიები აწარმოებენ მაუწყებლობას როგორც ციფრულზე, ისე–ანალოგზე. და რაც მთავარია, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ აქვს საშუალება ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდეს. ამიტომ ტელეკომპანიებს შეღავათი აქვთ გადასახადებში.

–ახალ მაუწყებლობაზე გადასვლა ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. როგორ მოემზადა საზოგადოება ამისათვის და რამდენადაა დაცული მათი უფლებები?

–უკრაინის ხელისუფლებას არ გამოუყვია სახსრები ახალი ქსელის შესაქმნელად. ეს კერძო ინვესტორმა გააკეთა. სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, ღარიბი და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის შეიძინოს „სეტობოქსები, (**set-top-box**)იგივე დეკოდერები, რომლებიც უზრუნველყოფენ ციფრული მაუწყებლობის მიღებას. მოსახლეობის ინფორმირება ტელეკომპანიებს დაევალათ.

–რას ურჩევდით იმ მოქალაქეებს, განსაკუთრებით რეგიონებში, რომლებსაც შეძენილი აქვთ დაბალხარისხიანი ტელევიზორები?

–არსებობენ ძვირადღირებული პლაზმური ტელევიზორები, რომლებსაც ციფრული სიგნალის მიღება შეეძლებათ. იმათ, ვისაც დაბალი ხარისხის ტელევიზორები აქვთ, მთავარია შეიძინონ „სეტობოქსები,“იგივე დეკოდერები, რაც უკრაინაში არსებული ფასებით 30-დან 100 დოლარამდე ღირს.

„მივიღეთ ბუნდოვანი, დასჯადი კანონები“

ნინო ნიკოლაიშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისში გამართული მრგვალი მაგიდა, რომელსაც ჟურნალისტები, ადგილობრივი თვითმმართველობის, საარჩევნო ადმინისტრაციის, პოლიტიკურ პარტიათა, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში და სისხლის სამართლის კოდექსში 2011 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების განხილვას მიეძღვნა.

სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აჭარა-გურია-ფოთის რეგიონალური კოორდინატორი მადონა ბერიძე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი თამაზ ტრაპაიძე კანონით დაშვებულ შეზღუდვებზე ესაუბრნენ საზოგადოებას და მიღებულ კანონს რეპრესირებული და არაგონივრული უწოდეს.

—კანონი საფრთხეს უქმნის გამოხატვისა და საკუთრების უფლებებს და აქვს სამოქალაქო პოლიტიკური აქტივობების შეზღუდული ეფექტი. ასევე ქმნის არათანასწორ საარჩევნო გარემოს. კანონით დაწესებული შეზღუდვები ხშირ შემთხვევაში არაგონივრული და რეპრესიულია, ხოლო სანქციები არაპროპორციული.

მათი აღნიშვნით, კანონში მითითებული ბუნდოვანი განმარტებებით ბევრი ლაფსუსი და არაკანონიერი ქმედებებია შესაძლებელი. კერძოდ, ახალი კანონით შემოღებულია ე.წ. „პარტიასთან კავშირში მყოფი“ ფიზიკური და იურიდიული პირების ცნება. რომლებზედაც ისევე განხორციელდება შეზღუდვები და რეგულაციები, როგორც თავად პარტიებზე. მათ ფინანსურ საქმიანობათა გამჭირვალობაზე მონიტორინგის განხორციელება კონტროლის პალატას ევალება. ხოლო დასკვნა, რომელიც შესაბამის დოკუმენტებს უნდა დაერთოს თან, კონტროლის პალატის მიერ მითითებული აუდიტის მიერ უნდა იყოს მიღებული.

გამომსვლელებმა ისაუბრეს კონტროლის პალატის გაზრდილ უფლებებზე, რაც ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციური კანონის 95 მუხლს. კონტროლის პალატის უფლებამოსილების შესახებ. განიხილეს ასევე ამომრჩეველთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები, რომელიც შესაძლებელია დაისაჯოს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან ჯარიმით, იმ შემთხვევაში, თუ ის რომელიმე პოლიტიკური პარტიისგან, ან მასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან მიიღებს ან მოითხოვს ფულად, ან სხვა საჩუქარს.

თამაზ ტრაპაიძე — შეიძლება დააწესო რეგულაციები, მაგრამ, ამ შემთხვევაში პრევენციის კი არა, რეპრესირებულ ხასიათს ატარებს ეს ცვლილებები. ხდება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. თუ რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენელი თავის მოსაზრებას გამოხატავს რომელიმე პარტიის მიმართ, შეიძლება ის ორგანიზაცია დაიხუროს... მივიღეთ ბუნდოვანი, დასჯადი კანონპროექტები.

ლევან ხინთიბიძე, დემოკრატიული განვითარების კავშირის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი: — კარგია, ამ საკითხებთან დაკავშირებით ხელწერები გაკეთდეს, ჩვენც მივიღეთ ამაში მონაწილეობას, რადგან ეს არის ერთი საერთო სამართლიანი აზრი. აქ უნდა იყოს ერთიანი ტალღა და არა რამდენიმე ორგანიზაციისა.

მრგვალი მაგიდა გაიმართა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების **(isfed),** საერთაშორისო გამჭირვალობის და საქართველოს იურისტთა ასოციაციის ინიციატივითა და მონაწილეობით.

ანზორ ქინქლაძე



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ინჟინერი ანზორ ნოეს ძე ქინქლაძე.

იგი ცნობილი ექიმის ნოე ქინქლაძის უმცროსი ვაჟი იყო. დაიბადა 1934 წელს. დაამთავრა ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ოზურგეთის საკონსერვო ქარხანაში. 1974-75 წლებში —ოზურგეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სამშენებლო უბნის უფროსად, ხოლო 1986 წლიდან 2008 წლამდე—ურეკის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსად.

ბატონ ანზორს ჰყავდა შესანიშნავი ოჯახი. მეუღლე— ქალბატონი მერი ლომაძე წლების მანძილზე მოღვაწეობდა ოზურგეთის სამუსიკო სკოლაში. ქალიშვილი მაია, თავის მეუღლესთან ერთად სანკ-პეტერბურგში ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში მუშაობს ექიმად. ვაჟი ნუგზარი (ბაჩუნა) პროფესიით ინჟინერია. ამჟამად ქ. თბილისში ერთ-ერთ ფირმაში მუშაობს.

ნათელი პიროვნების, კარგი მეოჯახის, მეგობრის, მოქალაქის ანზორ ქინქლაძის სახელს არასოდეს დაივიწყებს მადლიერი საზოგადოება.

ახლობლები, მეგობრები.

ქემალ ხარაბაძის წარმატება

ბულგარეთის ქალაქ პეტროვოში „ა“ კლასის ტურნირი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც ევროპის პირველობის III პრიზიორმა ქემალ ხარაბაძემ 55 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა. ქემალი ოზურგეთის სპორტსკოლის აღზრდილია. მისი მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი იყო.

ხსოვნა

ციური ჩხიკვაძის გახსენება

უფლის მადლით განფენილიყო დღე, შობის მოლოდინს გულში დაედო ბინა. საღამოხანს თავსთუმალს დაესვენა ანგელოზი, მერე საამქვეყნიო სარეცელი დატოვა, საიმქვეყნიოში უწინამძღვრა სულს. საოცარი იყო განშორება სულისა სხეულთან. ყველა გაოგნებული, გარინდებული დაჰყურებდა სახეს, რომელსაც უკვე სიმშვიდე გადაჰფენოდა. ამ სიმშვიდეში დაეკანა სიმართლეს, დიდსულოვნებას, სიკეთეს, სიყვარულს, მზრუნველობას. ყველა იმ თვისებას, სიცოცხლეშივე რომ გაგაჩნდა. ჩუმად ქვითინებდა ყველა, უახლოეს ადამიანთა ცადაწვდილ მწუხარებას ზღვარი არ ჰქონდა, მაინც ჰმორჩილებდნენ რაღაც ძალას და ყველანი ვგრძნობდით, რომ ეს ძალა ჩვენგან ზეაღმატებული, ზეციერისა იყო. მოძღვარი (მამა ბასილი კვირჩილაძე) უკვე განსვენებული სულიერი შვილის სულისთვის ლოცულობდა. ჭირისუფლის გამძლეობასაც ავედრებდა უფალს. —ჩვენ, გვიჭირს უმისობა, თორემ, ვინ იქნება ასეთი ბედნიერი. ციური უფალმა წაიყვანა, თავად დაასწრო უფლისშობას. გასაოცარი ძალა მოდიოდა ამ სიტყვებიდან, ძალა უსაცდურო წუთისოფელში გარდაცვალების არმოშიშებისა.

ასე განგვეშორე და წახვედი ჩვენგან ჩვენო ციური. უკვე ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ. ახლა ჩვენს განვლილ დღეებს ვიხსენებთ. ადრეულ ასაკში დავკარგეთ მშობლები. მამის გარდაცვალება ვერ გაგვეცნობიერებინა, დედაც რომ გარდაგვეცვალა. დებს ობლობის სიმწარე არ ვაგრძნობინოო, მშობლების მოვალეობა აიტვირთე მხრებზე. თანდათან რთულდებოდა ცხოვრება. ერთმანეთის სიყვარულმა და დაჯერებამ გადაგვატანინა დიდზე დიდი გაჭირვება. უსაზღვროდ მოსიყვარულე და კეთილი იყავი, პატიების ნიჭი გქონდა გასაოცარი. გვერდით ედექი ადამიანებს ჭირსა თუ ლხინში, არ ჰქონდა მნიშვნელობა, მდიდარი იყო, თუ ღარიბი, იყავი მათი გულშემატკივარი და პატრონი.

არასოდეს გიცხოვრია მხოლოდ დღევანდელი დღით. ხვალინდელი დღისთვისაც ზრუნავდი, მომავალს იმედით შეჰყურებდი. ყოველთვის ნახულობდი პრობლემებისგან გამოსავალ გზებს. ამასვე ასწავლიდი გვერდით მყოფთ, სხვებსაც. სიკეთის ქმნით ხარობდი.

წახვედი ჩვენგან და შენი სიხარული და უდიდესი სიყვარული, მარიამი ჩვენ დაგვიტოვე. სიცოცხლის ბოლო წუთებშიც შენი შვილის ბედნიერებას და ჯანმრთელობას ავედრებდი უფალს. ახლა ვუყურებთ მარის და ვხედავთ, რამდენი კარგი რამ ჩაგიდვია მის გულსა და გონებაში. როგორი თავშეკავებით შეხვდა უდედობის ტკივილს. ცაში ესაუბრება დედიკოს. ჩვენ არ გვანახვებს ცრემლებს, დედის სული შეწუხდება, დეიდებს გული ეტკინებათო. აკი გამოეცხადე კიდეც,— მე შენთან ვიქნები და ვერაფერი დაგვაშორებსო. ის ხომ საამისოდ ჯერ კიდევ პატარაა.

ჩვენი ოჯახიდან პირველი დაადექი ტაძრისკენ მიმავალ გზას. ჩვენც ამასვე გვირჩევდი. უფლის მოშიშებით და სიყვარულით იცხოვრე, მშვიდად შეხვდი ავადმყოფობის განსაცდელს. მშვიდადვე მიეახლე უფალს, რომ უშენობის ტკივილის დაძლევაში დაგვხმარებოდი.

უფალს ებარებოდე ჩვენო ციური, საუკეთესო დედავ, დაო, ნათესაო, მეგობარო, მეზობელო, და საერთოდ, კარგო ადამიანო!

ოჯახი, ახლობლები.

უშენოდ...

გენო სტურუას ხსოვნას

არც ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ორმოცი დღე, მაგრამ უშენოდ. უშენოდ ძალიან ბევრია, უსაზღვროდ ბევრი. რაც დრო გადის ვხვდებით, თუ რამხელა ტკივილი და მონატრება ხარ. გვენატრები, უზომოდ გვენატრები. წახვედი და დაგვიტოვე მოუნელებელი ტკივილი და ჭრილობები, რომლებიც არ ხორცდებიან; სიცარიელე — რომელსაც ვერავინ და ვერაფერი ამოავსებს, დარდი — რომელსაც უშენობა ჰქვია.

მადლიანი ადამიანი იყავი და გამორჩეულად არაჩვეულებრივი, მეგობრების და ახლობლების უსაშველოდ მოსიყვარულე. ახლა ეს დიდი სიყვარული ყველას ტკივილად დაგვიტოვე და ახლა უშენობით დატანჯულები ერთმანეთს ვანუგეშებთ.

ყველას ძალიან ენატრები, დააკლდი ქალაქს, შენ ხომ დიდ-პატარიან, უპატრონო-პატრონიან თუ უპოვარ-უსახლკაროთა ქომაგი და შემცოდე იყავი.

დღითი-დღე იზრდება შენი ერთადერთი ვაჟკაცი ლადუნა, რომელიც მამას მხოლოდ სურათებით ეფერება. უზომოდ გამოხატავს შენდამი სიყვარულსა და მონატრებას.

უმძიმესია ეს ტვირთი მამისათვის. ადამიანი, რომელმაც ნაადრევად განიცადა კიდევ ერთი ტკივილი ახალგაზრდა მეუღლის დაკარგვა. ამ უსაზღვროდ დიდ ტკივილს ახლა შენც დაემატე. ძნელია გაუძლო იმ ტკივილს, რომელსაც მეუღლისა და შვილის დაკარგვა ჰქვია.

ძნელია მეუღლისთვის უშენობა, სიცარიელე და უსაზღვრო მონატრება, მაგრამ შენი მამისა და მეუღლის იმედი პატარა ლადუნაა, რომელიც შენი ადამიანური პრინციპებით გაიზრდება.

ცხოვრების დაუნდობელმა ბედისწერამ სამუდამოდ დაგაშორა ყველას და ყველაფერს, მაგრამ მხოლოდ ფიზიკურად. შენ სამუდამოდ დარჩ/ები ჩვენში დიდი სიყვარულითა და მონატრებით. გვენატრები, უსაზღვროდ გვენატრები.

შენი ოჯახი.

მოჭიდავეთა პირველობაზე



ოზურგეთის სპორტის სასახლეში ორ დღეს მიმდინარეობდა ოზურგეთის სპორტსკოლის პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ჯერ უფროსებში, შემდეგ 1995-98 წლებში დაბადებულთა შორის.

უფროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის წონების (55, 60,66,74, 84, 96, 120 კგ.) მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზურაბ მაჭარაშვილი, თემურ ღლონტი, მამუკა მახარაძე, ზურაბ ცინცაძე, ბექა როყვა, ბექა ჩოფლიანი, ვლადიმერ ქარჩავა.

უმცროს ასაკში (42,46, 50, 54, 58, 63, 69, 85,100კგ)ჩემპიონები გახდნენ: დავით ჩხარტიშვილი, იური ლომაძე, კახა ირემაძე, გიორგი გუჯაბიძე, გიორგი ხუჭუა, გუგა კვერღელიძე, თორნიკე რუსიეშვილი, გიორგი დარჩია, ედვარდ ღლონტი. (მწვრთნელები: გურამ მაჭარაშვილი, ძმები ზურაბიანები, ალ. ბოლქვაძე, თენგიზ მუჯირი, ანზორ ლომაძე, გია ბაქანიძე).

უმცროსი ასაკის მოჭიდავეები თებერვლის ბოლოს ქ. თბილისში მაისურაძის სახელობის ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru